მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №26
2025 წლის 29 დეკემბერი

დაბა მესტია

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯების ანაზღაურების წესისა და ოდენობის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“41-ე მუხლის მე-3 პუნქტის, და ,,ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლისა და 25-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

დამტკიცდეს თანდართული მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯების ანაზღაურების წესი და ოდენობა.

მუხლი 2

ამ დადგენილების ამოქმედებიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 დეკემბრის №27 დადგენილება (www.matsne.gov.ge 28/12/2024, სარეგისტრაციო კოდი: 010250020.35.103.016453).

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს 2026 წლის 1 იანვრიდან.

მესტიის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **მაიზერ ჯაფარიძე**

დანართი

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯების

ანაზღაურების წესი და ოდენობა

მუხლი 1. საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ოდენობა (ზღვრული ოდენობა)

საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) მიერ საკრებულოს სხდომების, კომისიების სხდომების, დროებითი სამუშაო ჯგუფების მუშაობაში მონაწილეობის მიღებისათვის, ამომრჩევლებთან შეხვედრებისათვის, ასევე საკრებულოს და საკრებულოს თავმჯდომარის დავალებების შესრულებისთვის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებლი ხარჯების ანაზღაურება განისაზღვროს 990 (ცხრაას ოთხმოცდაათი) ლარის ოდენობით.

მუხლი 2. უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება

1. საკრებულოს თითოეული წევრისათვის (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) ამ დადგენილების პირველ მუხლში მითითებული ასანაზღაურებელი ხარჯების ოდენობა, განისაზღვრება საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით, საკრებულოს აპარატის უფროსის მიერ ერთიანი სახით მიწოდებული ინფორმაციის (მოხსენებითი ბარათი) საფუძველზე.
2. საკრებულოს წევრს აუნაზღაურდება საკრებულოს სხდომებზე დასწრების, საკრებულოს

გადაწყვეტილებათა პროექტების მომზადების, დადგენილების პროექტის ინიციირების, საკრებულოს კომისიების, ფრაქციებისა და დროებითი სამუშაო ჯგუფის მუშაობაში მონაწილეობის, საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოსადმი/თანამდებობის პირისათვის კითხვით მიმართვის, ამომრჩეველთა მიღების, ამომრჩეველთა შეხვედრის, მათი წერილების, წინადადებებისა და საჩივრების განხილვისა და ანგარიშის საჯარო განხილვასთან დაკავშირებული გონივრული (მატერიალური) ხარჯი, რომლის გაწევაც მას მოუხდება ზემოთ ჩამოთვლილი უფლებამოსილებების განხორციელებისას.

3. უფლებამოსილების გაწევასთან დაკავშირებით შეიძლება ანაზღაურდეს:

ა) ტრანსპორტირების ხარჯი;

ბ) შიდა და საერთაშორისო სატელეფონო და სატელეგრაფო მომსახურების ხარჯები;

გ) სხვა ხარჯები (ინტერნეტის, ქსეროასლების გადაღების, საკანცელარიო ნივთების შეძენის და სხვ.).

4. ყოველი თვის არაუგვიანეს 1 რიცხვისა საკრებულოს წევრი აპარტში წარმოადგენს მოსახლეობასთან შეხვედრის დამადასტურებელ ოქმს/ოქმებს და განცხადებას, რომელშიც მითითებული უნდა იქნეს მის მიერ გაწეული ასანაზღაურებელი ხარჯების წარმოშობისა და დასაბუთების შესახებ ინფორმაცია.
5. საკრებულოს აპარატის უფროსი საკრებულოს წევრთა მიერ ინდივიდუალურად წარმოდგენილ დოკუმენტებზე (მოსახლეობასთან შეხვედრის ამსახველი ოქმი და სხვა გაწეული ხარჯების დამადასტურებელი მასალები) დაყრდნობით, საკრებულოს თავმჯდომარის სახელზე წერს მოხსენებით ბარათს, რომელშიც მოცემულია საკრებულოს წევრთა მიერ საკრებულოს, საკრებულოს კომისიებისა და ფრაქციათა სხდომებზე დასწრების სტატისტიკური მონაცემები, რაც საკრებულოს თავმჯდომარისათვის წარმოადგენს მათ მიერ გაწეული ხარჯების ანაზღაურების თაობაზე ინდივიდუალური- სამართლებრივი აქტის გამოცემის საფუძველს.
6. საკრებულოს წევრმა საკრებულოსა და შესაბამისი ორგანოების (კომისია, დროებითი სამუშაო ჯგუფი) სხდომაზე გამოუცხადებლობის მიზეზი წინასწარ, სხდომის ჩატარებამდე უნდა აცნობოს შესაბამისი სხდომის თავმჯდომარეს. თუ საკრებულოს წევრმა სხდომის დაწყებამდე ვერ წარმოადგინა განცხადება წერილობითი სახით, შესაბამისი სხდომის ჩატარებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში, უნდა წარმოადგინოს საპატიო მიზეზის არსებობის დამადასტურებელი ცნობა, წინააღმდეგ შემთხვევაში სხდომაზე გამოუცხადებლობა ჩაეთვლება არასაპატიოდ.
7. საკრებულოს თავმჯდომარე უფლებამოსილია, საკრებულოს კონკრეტული წევრისათვის განსაზღვროს ანაზღაურების ნაკლები ოდენობა (თითოეული გაცდენილი საკრებულოს ან/და კომისიის სხდომის გაცდენაზე 50 ლარის ოდენობით), თუ საკრებულოს რომელიმე წევრის (წევრების) მიერ სხდომებში და მის ორგანოთა მუშაობაში მონაწილეობის მიღების (დასწრების) ფაქტობრივი მონაცემები მნიშვნელოვნად განსხვავდება (ნაკლებია) სხვა წევრების დასწრების ფაქტობრივი მონაცემებისაგან.

საკრებულოს აპარატში ყოველთვიურად ინახება საკრებულოს წევრთა მიერ ხარჯების ასანაზღაურებლად წარმოდგენილი დოკუმენტაცია.

მუხლი 3. საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების დარიცხვა.

დაევალოს მესტიის მუნიციპალიტეტის მერიას ყოველთვიურად ამ დადგენილებით გათვალისწინებული საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანების საფუძველზე, საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების დარიცხვა განახორციელოს საქართველოს საგადასახადო კოდექსის ნორმების შესაბამისად.